EAST EUROPEAN UNIVERSITY

EEU

განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დებულება

დამტკიცებულია: უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2026 წლის 04 მარტის № 01 დადგენილებით

სარჩევი

თავი პირველი -ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ფაკულტეტის სტატუსი და დებულების რეგულირების სფერო

მუხლი 2. ფაკულტეტის უფლებამოსილება

თავი მეორე - ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვა

მუხლი 3. ფაკულტეტის სტრუქტურა

მუხლი 4 . ფაკულტეტის საბჭო და მისი ფორმირება

მუხლი 5. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილებები

მუხლი 6. ფაკულტეტის საბჭოს საქმიანობის წესი

მუხლი 7. ფაკულტეტის დეკანი

მუხლი 8. ფაკულტეტის დეკანის მოვალეობები და უფლებამოსილებები

მუხლი 9. სადისერტაციო საბჭო

მუხლი 10. აკადემიური პროგრამების განვითარების კომიტეტი

მუხლი 11. სტრუქტურული ერთეულების შექმნისა და გაუქმების წესი

თავი მესამე - ფაკულტეტის აკადემიური, მოწვეული პერსონალი და სტუდენტები

მუხლი 12. ფაკულტეტის აკადემიური, მოწვეული პერსონალის შემადგენლობა

მუხლი 13. ფაკულტეტის სტუდენტი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელი

თავი მეოთხე - ფაკულტეტის ბიუჯეტი

მუხლი 14. ფაკულტეტის ბიუჯეტი

თავი მეხუთე - დასკვნითი დებულებები

მუხლი 15. ფაკულტეტის დებულების მიღების, გაუქმების, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანის წესი

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ფაკულტეტის სტატუსი და დებულების რეგულირების სფერო

1. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) განათლების მეცნიერებების ფაკულტეტი (შემდგომში „ფაკულტეტი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის ძირითად სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის ფარგლებში უზრუნველყოფს სტუდენტთა ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში მომზადებას და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას.
2. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ფაკულტეტის სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს ფაკულტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
3. ქართულ ენაზე ფაკულტეტის ოფიციალური სახელწოდებაა - „შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტი“, ხოლო ინგლისურ ენაზე - „Faculty of Education Sciences of East European University LLC“.
4. ფაკულტეტს აქვს ბეჭედი, სატიტულო ფურცელი, საკონტაქტო ელ-ფოსტა და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდის ფარგლებზე საკუთარი განყოფილება. სატიტულო ფურცელზე ხელს აწერს დეკანი საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის რეგულაციებითა და წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესით.
5. ფაკულტეტი დადგენილი წესით იყენებს უნივერსიტეტის შენობებს და სხვა ქონებას, რაც აუცილებელია წინამდებარე დებულებით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად.
6. ფაკულტეტი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.
7. ფაკულტეტის შექმნის, რეორგანიზაციის ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო, უნივერსიტეტის რექტორის წარდგინების საფუძველზე.
8. ფაკულტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის დებულებით, წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 2. ფაკულტეტის უფლებამოსილება

1. ფაკულტეტის მიზნებია:

ა) უზრუნველყოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი და ხელმისაწვდომი განათლების მიღების შესაძლებლობა, მისცეს სტუდენტს ღრმა ცოდნა სტუდენტის მიერ არჩეულ კონკრეტულ სფეროში.

ბ) მოამზადოს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრები ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურებზე.

2. **ფაკულტეტის ამოცანები და ფუნქციებია:**

ა) სტუდენტზე ორიენტირებული აკადემიური გარემოს, ასევე სწავლისა და დამოუკიდებელი კვლევისათვის სათანადო პირობების შექმნა;
ბ) სასწავლო პირობების გაუმჯობესებაზე მუდმივად ზრუნვა;
გ) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებისა და ფაკულტეტის სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის ხელშეწყობა, კვლევის შედეგების ინტეგრირება სასწავლო პროცესში;
დ) სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;
ე) აკადემიური თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის უზრუნველყოფა;
ვ) ფაკულტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა;
ზ) სამოქალაქო საზოგადოებისა და ზოგადსაკაცობრიო დემოკრატიული ფასეულობების განვითარების ხელშეწყობა;
თ) ფაკულტეტის მართვაში სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ჩართვის უზრუნველყოფა;
ი) აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა და განხორციელება, მათი განვითარების პროცესში დაინტერესებული პირების ჩართვა და პროგრამების გაუმჯობესებაზე ზრუნვა;
კ) უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მიზნებიდან გამომდინარე, სხვა ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელება.

თავი II
ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვა

მუხლი 3. ფაკულტეტის სტრუქტურა

1. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია:
   ა. ფაკულტეტის საბჭო;
   ბ. ფაკულტეტის დეკანი.
2. ფაკულტეტზე იქმნება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო, აკადემიური პროგრამების კომიტეტები. ფაკულტეტზე სამეცნიერო კვლევების განხორციელების მიზნით, ფაკულტეტის შემადგენლობაში სტრუქტურული ქვედანაყოფის სახით შეიძლება ასევე შედიოდეს სასწავლო - სამეცნიერო და/ან სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები (ცენტრი/ინსტიტუტი). ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო. ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების დებულებით.

3. სასწავლო პროცესის ეფექტიანი ადმინისტრირების მიზნით, ფაკულტეტის შემადგენლობაში წარმოდგენილია: ფაკულტეტის დეკანის მოადგილე/მოადგილეები, კოორდინატორები და სპეციალისტები (შემდგომში - ფაკულტეტის ადმინისტრაცია).
4. ფაკულტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას, სასწავლო პროცესის მართვას, საგანმანათლებლო პროგრამების (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ან მასწავლებლის მომზადების) ადმინისტრირებას, სტუდენტთა მომსახურებას, შესაბამისი მიმართულებებით სამეცნიერო კვლევების ორგანიზებას, ასევე ფაკულტეტზე სხვა ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგებას.
5. ფაკულტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი დეკანის წარდგინებით, მათი ფუნქციები და მოვალეობები განსაზღვრულია სამუშაო აღწერილობებითა და მათთან დადებული შრომითი ხელშეკრულებებით.
6. ფაკულტეტი, საკუთარი საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების მიზნით უფლებამოსილია ხელშეკრულების საფუძველზე მოიწვიოს შესაბამისი საჭიროებისა და კომპეტენციის პირი/პირები.

მუხლი 4 . ფაკულტეტის საბჭო და მისი ფორმირება

1. ფაკულტეტის საბჭო არის ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის ფორმირების წესი განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.
2. ფაკულტეტის საბჭო შედგება შვიდი წევრისაგან. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ოთხი არჩეული წარმომადგენელი და ორი სტუდენტთა წარმომადგენელი. ფაკულტეტის საბჭოს წევრი, გარდა დეკანისა, ერთდროულად არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ფაკულტეტის საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი.
3. ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს ფაკულტეტის წამყვანი პროფესორი, პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი.
4. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეა დეკანი ან მისი წარდგინებით ფაკულტეტის საბჭოს ერთ-ერთი წევრი აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი.
5. ფაკულტეტის საბჭოს წევრთა არჩევნები ინიშნება რექტორის სამართლებრივი აქტის საფუძველზე და ინფორმაციის საჯარო გაცნობის მიზნით, ქვეყნდება ყველასათვის ხელმისაწვდომ და თვალსაჩინო ადგილას, არჩევნების ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე.
6. ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა წარმომადგენლების არჩევნების ჩასატარებლად უნივერსიტეტის რექტორი ქმნის **უნივერსიტეტის საარჩევნო** კომისიას და განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს.
7. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია უფლებამოსილია, მიიღოს ყველა გადაწყვეტილება არჩევნების საორგანიზაციო და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით.

შესაძლებელია, ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილებით უარი ეთქვას პირს რეგისტრაციაზე.

8. ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები აირჩევიან აკადემიური პერსონალის საერთო კრებაზე ღია კენჭისყრით. კენჭისყრის შედეგები ჯამდება სათანადო ოქმით.
9. კანდიდატების დასახელება ხდება აკადემიური პერსონალის საერთო კრებაზე. კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ნახევარზე მეტი. აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს შეუძლიათ როგორც საკუთარი, ასევე სხვა კანდიდატურების დასახელება. ყოველ კანდიდატს ეყრება კენჭი ინდივიდუალურად. უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატი (კანდიდატები) ხდება ფაკულტეტის საბჭოს წევრი. თანაბარი ხმების მიღების შემთხვევაში იმავე სხდომაზე ტარდება განმეორებითი კენჭისყრა.
10. ფაკულტეტის საბჭოს წევრად არჩეული აკადემიური პერსონალის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი ვადის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს 4 წლის ვადისა. აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი ვადის გასვლის ან აკადემიური თანამდებობის ვადაზე ადრე დატოვების შემთხვევაში (დეკანის შემთხვევაში დეკანის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში) პირს ავტომატურად უწყდება ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსი.
11. ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო, ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც ფაკულტეტის საბჭოს არჩევნებში ვადაზე ადრე უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მიიღო. ასეთის არარსებობის შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს ვაკანტური ადგილის დასაკავებლად იმართება განმეორებითი არჩევნები ამ მუხლით განსაზღვრული პროცედურების დაცვით.
12. ფაკულტეტის საბჭოს წევრობის მსურველი სტუდენტი რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში დასაბუთებული განცხადებით მიმართავს საარჩევნო კომისიას მისი საბჭოს წევრობის კანდიდატად დარეგისტრირების თხოვნით. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია რეგისტრაციის დასრულებისთანავე ადგენს სტუდენტ კანდიდატთა ერთიან სიას და უგზავნის თვითმმართველობას.
13. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტი წევრები კანდიდატთა სიიდან აირჩევიან სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ 2 წლის ვადით თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. თვითმმართველობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სტუდენტთა თვითმმართველობის წევრების ნახევარზე მეტი.
14. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

   ა) პირადი განცხადება;

   ბ) თანამდებობის დატოვება/გათავისუფლება (ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალი წევრების შემთხვევაში);

   გ) სტრუქტურული რეორგანიზაცია, რამაც გამოიწვია იმ ერთეულის გაუქმება/ცვლილება, რომელსაც წარმოადგენდა საბჭოს წევრი;

   დ) უნივერსიტეტთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა;

   ე) სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა (სტუდენტი წევრის შემთხვევაში);

ვ) გარდაცვალება ან სასამართლოს მიერ გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება;

ზ) სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობა;

თ) საბჭოს სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენა, რომელიც აღემატება სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული სხდომების 50 %-ს;

ი) უფლებამოსილების ვადის ამოწურვა.

15. ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, გარდა მე-4 მუხლის მე-14 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით დადგენილი შემთხვევისა, გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება.

16. სტუდენტი კანდიდატებისთვის ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტენზე სათანადო აღნიშვნით და საარჩევნო ბიულეტენის საარჩევნო ყუთში მოთავსებით. საარჩევნო ბიულეტენის დაბეჭდვაზე პასუხისმგებელია საარჩევნო კომისია.

17. არჩევნების განსხვავებული ფორმატით (ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით) ჩატარების შემთხვევაში, არჩევნების ჩატარების წესი და პროცედურა განისაზღვრება წინამდებარე დებულების მე-4 მუხლის 25-ე პუნქტით.

18. საარჩევნო ბიულეტენი ბათილია, თუ:

ა) არ აღმოჩნდა საარჩევნო ბიულეტენზე ხელმომწერი კომისიის წევრის ხელმოწერა;

ბ) თუ არ არის შემოხაზული არცერთი კანდიდატურა;

გ) თუ შემოხაზულია თითოეული ფაკულტეტიდან ორზე მეტი კანდიდატურა;

დ) თუ შეუძლებელია გაირკვეს, რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა.

19. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტი წევრების არჩევნების კენჭისყრის შედეგები ჯამდება სათანადო ოქმით.

20. თუ არჩევნებში მონაწილე სტუდენტმა კანდიდატებმა მიიღეს ხმების თანაბარი რაოდენობა, იმართება განმეორებითი არჩევნები. განმეორებით არჩევნები ტარდება თანაბარი შედეგის მქონე კანდიდატებს შორის ამ დებულებით დადგენილი პროცედურების დაცვით.

21. ფაკულტეტის საბჭოს წევრად არჩეულ აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტთა წარმომადგენლებს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ფაკულტეტზე არჩევნების ჩატარებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, სათანადო ოქმებთან ერთად, წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად.

22. არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში კანდიდატს, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის წევრს ან ამომრჩეველს უფლება აქვს, შეიტანოს საჩივარი ამ დებულებით განსაზღვრული წესის დარღვევასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივრები არ მიიღება. არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას წარმომადგენლობითი საბჭო იღებს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ გამოვლენილმა დარღვევამ არსებითი გავლენა იქონია არჩევნების შედეგზე.

23. ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტი სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის, ასევე სხვა ფაკულტეტზე მობილობის წესით გადასვლის შემთხვევაში ავტომატურად კარგავს ფაკულტეტის საბჭოს წევრობის უფლებას. ახალი წევრის არჩევა ხდება ამ დებულებით დადგენილი წესით.

24. სტუდენტური თვითმმართველობის წევრს არ შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, როგორც ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატმა.
25. ფაკულტეტის საბჭოს წევრების არჩევნები, განსაკუთრებულ შემთხვევაში, შესაძლებელია ჩატარდეს ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით. ფაკულტეტის საბჭოს წევრის არჩევნების ელექტრონულად ჩატარების შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამომრჩევლების ვიზუალური და აუდიო იდენტიფიცირება. ფაკულტეტის საბჭოს სტუდენტი წევრის არჩევნების ელექტრონულად ჩატარების შემთხვევაში ხმის მიცემა მოხდება ელექტრონული გამოკითხვის ფორმით, ანონიმურობის დაცვით.

მუხლი 5. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილებები

1. **ფაკულტეტის საბჭო:**

ა) დეკანის წარდგინებით განიხილავს და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს ფაკულტეტის სტრუქტურას, დებულებას, მასში შესატან ცვლილებებსა და დამატებებს;
ბ) დეკანის წარდგინებით განიხილავს, განსაზღვრავს და წარუდგენს საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს;
გ) დეკანის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის აკადემიური პროგრამების განვითარების კომიტეტების შემადგენლობასა და მათი საქმიანობის რეგლამენტს;
დ) განიხილავს ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების შესახებ, რომელსაც წარუდგენს ფაკულტეტის აკადემიური პროგრამების განვითარების კომიტეტს შემდგომი რეაგირებისთვის;
ე) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის საფუძველზე ფაკულტეტის აკადემიური პროგრამების განვითარების კომიტეტის წარდგინებით განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამას, მასში განსახორციელებელ ცვლილებებსა და დამატებებს და წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად;
ვ) განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საკითხს და საკუთარ გადაწყვეტილებას წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს საბოლო გადაწყვეტილების მიღების მიზნით;
ზ) დეკანის წარდგინებით განიხილავს და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს/პროექტებს;
თ) დეკანის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დებულებას, შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები;
ი) ამტკიცებს ფაკულტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესს, შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები;
კ) განსაზღვრავს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას და ასევე, ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდებისათვის კოეფიციენტებს, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტთან კოორდინირებით და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს;

ლ) იღებს გადაწყვეტილებას მაგისტრანტობისა და მასწავლებლის მომზადების კანდიდატებისთვის უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩატარების ფორმატის შესახებ;

მ) ხელს უწყობს სწავლებისა და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებას კომპეტენციის ფარგლებში;

ნ) იღებს გადაწყვეტილებას აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურების-ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის-დამთავრებისას პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე;

ო) იღებს გადაწყვეტილებას მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა მიერ პროგრამის დასრულების შესახებ;

პ) უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს კანდიდატურებს საპატიო დოქტორის/პროფესორის და სხვა ჯილდოების მისანიჭებლად;

ჟ) განიხილავს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს აფილირებული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტი წევრების კანდიდატურებს და წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად;

რ) განიხილავს აკადემიური პერსონალის ატესტაციის შედეგებს და იღებს ,,აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის ატესტაციის ჩატარების წესით'' განსაზღვრულ შესაბამის გადაწყვეტილებას;

ს) დეკანის წარდგინებით განიხილავს და უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს ფაკულტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების წლიურ ანგარიშს;

ტ) დეკანის წარდგინებით განიხილავს ფაკულტეტზე ახალი აკადემიური პერსონალის არჩევის ან/და მოწვეული პერსონალის საჭიროებას, ამოწმებს პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიით დადგენილ ზღვრულ ნიშნულებთან შესაბამისობას და უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს წინადადებას აკადემიური კონკურსის გამოცხადების ან/და მოწვეული პერსონალის შერჩევის შესახებ;

უ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის დებულებით და სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 6. ფაკულტეტის საბჭოს საქმიანობის წესი

1. ფაკულტეტის საბჭო პირველ სხდომაზე ცნობს თავის უფლებამოსილებას და საბჭოს წევრი აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს ფაკულტეტის საბჭოს მდივანს, ფაკულტეტის დეკანის მიერ საბჭოს თავჯდომარეობაზე უარის შემთხვევაში, მისი წარდგინებით საბჭო კენჭს უყრის წარდგენილ კანდიდატურას.
2. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეობს საბჭოს თავმჯდომარე. მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის ფუნქციას საბჭოს გადაწყვეტილებით ასრულებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ უმრავლესობით არჩეული საბჭოს ნებისმიერი წევრი აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან.
3. ფაკულტეტის საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს ფაკულტეტის საბჭოს საქმისწარმოებას. ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე მდივნის არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციას ასრულებს

ფაკულტეტის საბჭოს მიერ უმრავლესობით არჩეული საბჭოს ნებისმიერი წევრი აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან.

4. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის დღის წესრიგის პროექტს ამზადებს საბჭოს მდივანი საბჭოს თავმჯდომარის მითითებით. ფაკულტეტის საბჭოს წევრებს შეუძლიათ საბჭოს მდივნისათვის დღის წესრიგის პროექტში გასათვალისწინებელი საკითხების მიწოდება წერილობით. ფაკულტეტის საბჭოს მდივანი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თარიღამდე 3 დღით ადრე აცნობებს ფაკულტეტის საბჭოს წევრებს სხდომის დღის წესრიგის პროექტს.
5. ფაკულტეტის საბჭო სხდომის დაწყებისთანავე ღია კენჭისყრით ამტკიცებს დღის წესრიგს.
6. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის მოწვევის უფლება აქვს ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეს, ან დეკანს ან ფაკულტეტის საბჭოს არანაკლებ 4 წევრს საბჭოს თავმჯდომარისათვის შესაბამისი დასაბუთებული წერილობითი მიმართვის გზით.
7. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის 2/3. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ საკითხს მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრეთა ნახევარზე მეტმა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში საკითხი შესაბამისი კონსულტაციების შემდეგ ახლიდან გამოდის კენჭისყრაზე.
8. ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია, გარდა კანონმდებლობითა და შიდა რეგულაციებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ფაკულტეტის საბჭოს არანაკლებ 3 წევრს უფლება აქვს მოითხოვოს ფარული კენჭისყრა. კენჭისყრა იქნება ფარული, თუ მას მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა უმრავლესობამ.
9. ფაკულტეტის საბჭოს ყოველი სხდომის თაობაზე ფორმდება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს (სხდომის) თავმჯდომარე და მდივანი.
10. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, მისი წევრი/წევრები სხდომის მუშაობაში შეიძლება მონაწილეობდეს/ნენ ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს წევრის/წევრების ვიზუალური და აუდიო იდენტიფიცირება.

მუხლი 7. ფაკულტეტის დეკანი

1. ფაკულტეტს ხელმძღვანელობს და მესამე პირებთან ურთიერთობებში წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანი.
2. ფაკულტეტს დეკანი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.
3. ფაკულტეტის დეკანს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი, უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით.
4. დეკანის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს დეკანის მოადგილე ან/და უნივერსიტეტის რექტორის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე განსაზღვრული სხვა პირი.

მუხლი 8. ფაკულტეტის დეკანის მოვალეობები და უფლებამოსილებები

1. ფაკულტეტის დეკანი:

ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტის ხარისხიან ადმინისტრირებას;

ბ) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვას;

გ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების წლიურ ანგარიშს;

დ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს/პროექტებს;

ე) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას, ასევე ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს;

ვ) ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის აკადემიური პროგრამების განვითარების კომიტეტების შემადგენლობასა და მათი საქმიანობის რეგლამენტს;

ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

თ) პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;

ი) უნივერსიტეტის რექტორს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს დეკანის მოადგილესა და ფაკულტეტის პერსონალის კანდიდატურებს;

კ) პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან კოორდინირებით ამზადებს ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის არჩევის ან/და პერსონალის მოწვევის საჭიროებაზე ანალიზის დოკუმენტს და განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;

ლ) ახორციელებს ფაკულტეტის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისკენ მიმართული ღონისძიებების ინიცირებასა და ხელმძღვანელობისთვის/ფაკულტეტის საბჭოსთვის წარდგენას;

მ) აკადემიური/მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების ანდა წახალისების შესახებ წარუდგენს წინადადებებს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს;

ნ) ამტკიცებს სტუდენტთა საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის თემატიკას და საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს;

ო) ამტკიცებს სტუდენტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

პ) სასწავლო და სამეცნიერო პროცესის საჭიროების შესაბამისად, ამყარებს კავშირს საქართველოსა და უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან, თავისი უფლებამოსილებისა და კომპეტენციის ფარგლებში;

ჟ) კოორდინაციას უწევს ფაკულტეტზე სასწავლო ცხრილების ფორმირების პროცესს;

რ) ახორციელებს ფაკულტეტის თანამშრომლებს შორის ფუნქციების გადანაწილებასა და მათ მიერ დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებაზე კონტროლს;

ს) უზრუნველყოფს ყოველი სემესტრის დასაწყისში აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემის შედგენაზე კონტროლს.

ტ) აკონტროლებს ფაკულტეტზე სტუდენტის აკადემიური მოსწრების მონაცემების დამუშავების პროცესს;

უ) მონაწილეობს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების განვითარებასთან დაკავშირებულ პროცესებში.

ფ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ფაკულტეტის ადმინისტრირებისა და სასწავლო პროცესების საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივ აქტებს.

ქ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს აწერს ცნობებს სტუდენტის სტატუსის, კვალიფიკაციის მინიჭების/პროგრამის დასრულების ან/და აკადემიური მიღწევების შესახებ;

2. ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 9. სადისერტაციო საბჭო

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შედგება შესაბამისი დარგის/მიმართულების დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ფაკულტეტის ყველა აფილირებული წამყვანი პროფესორის, პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორისაგან.
2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით საბჭოს შემადგენლობაში სადისერტაციო საბჭოს წევრებად შეიძლება შეყვანილ იქნენ შესაბამისი მიმართულების ან დარგის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირები როგორც საქართველოდან, ასევე უცხოეთიდან.
3. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება „სადისერტაციო საბჭოსა და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დებულებით“, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 10. აკადემიური პროგრამების განვითარების კომიტეტი

1. ახალი და არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისა და განვითარების მიზნით ფაკულტეტზე იქმნება მუდმივმოქმედი აკადემიური პროგრამების განვითარების კომიტეტი.
2. აკადემიური პროგრამების განვითარების კომიტეტს ხელმძღვანელობს დეკანი ან დეკანის მოადგილე.
3. ფაკულტეტის აკადემიური პროგრამების განვითარების კომიტეტის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება „აკადემიური პროგრამების განვითარების კომიტეტის საქმიანობისა და უფლებამოსილების რეგლამენტით“, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 11. სტრუქტურული ერთეულების შექმნისა და გაუქმების წესი

ფაკულტეტის ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნის ან არსებული ერთეულების გაუქმების შესახებ ფაკულტეტის საბჭო მიმართავს წარმომადგენლობით საბჭოს უნივერსიტეტში დადგენილი წესის მიხედვით.

თავი III
ფაკულტეტის აკადემიური, მოწვეული პერსონალი და სტუდენტები

მუხლი 12. ფაკულტეტის აკადემიური, მოწვეული პერსონალის შემადგენლობა

1. ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს მიეკუთვნება: წამყვანი პროფესორი, პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ–პროფესორი და ასისტენტი.
2. წამყვანი პროფესორი უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. ამასთანავე, იგი მონაწილეობს აღნიშნულ პროცესსა და საქმიანობაში
3. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში ან/და წარმართავენ მათ.
4. ასისტენტი წამყვანი პროფესორის, პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.
5. აკადემიური პერსონალის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი და პირობები, თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები, აკადემიური დატვირთვის ზღვრული ოდენობა, ასევე აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება უნივერსიტეტის დებულებითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.
6. ფაკულტეტი უფლებამოსილია, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით.
7. ფაკულტეტის აკადემიური, მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის შესაბამისი რეგულაციების საფუძველზე.

მუხლი 13. ფაკულტეტის სტუდენტი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელი

1. ფაკულტეტის სტუდენტი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2. სტუდენტის, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით.

3. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა ხდება უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.
4. ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის სტუდენტთა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პირთა მიღების წინაპირობები განსაზღვრულია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით.

თავი IV
ფაკულტეტის ბიუჯეტი

მუხლი 14. ფაკულტეტის ბიუჯეტი

1. ფაკულტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს.
2. უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით, ფაკულტეტი მონაწილეობს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემუშავების პროცესში.

თავი V
დასკვნითი დებულებები

მუხლი 15. ფაკულტეტის დებულების მიღების, გაუქმების, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანის წესი

1. ფაკულტეტის დებულებას დეკანის წარდგინებით განიხილავს ფაკულტეტის საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
2. ფაკულტეტის დებულების დამტკიცებას, გაუქმებას, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანას ახორციელებს წარმომადგენლობითი საბჭო უნივერსიტეტის დებულებით, წარმომადგენლობითი საბჭოს დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.